ოლიმპიადის თხზულების შეფასების სქემა (მაქსიმალური ქულა 20)
მე-3 ტური

როგორ პასუხობს ნაწერი მოცემულ დავალებას; არის თუ არა აზრი გადმოცემული თანმიმდევრულად	**როგორ არის დაცული გრამატიკულ-ლექსიკური სიზუსტე. ასევე სიზუსტე მართლწერასა და პუნქტუაციაში (8 ქულა**	**ქულა კრეატიული წერის უნარში**
<u>ნაწერი ძალიან კარგია.</u> იგი სრულყოფილად პასუხობს დავალებას. აზრი მკაფიოდ და გასაგებად არის გადმოცემული. ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ლოგიკურია. (**8-7 ქულა**)	- გრამატიკული შეცდომების რაოდენობა 3-ს არ აღემატება. გამოყენებულია რთული წინადადებები და კონსტრუქციები. ლექსიკა მდიდარია. მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებული შეცდომები უმნიშვნელოა. **(8-7 ქულა)**	- ამბავი ძალიან საინტერესოდ და არაორდინალურად ვითარდება; ჩანს მოსწავლის მდიდარი ფანტაზია და მხატვრული თხრობის უნარი. გამოყენებულია მხატვრული ხერხები: იდიომა, მეტაფორა, ა.შ. **(4 ქულა)**
- <u>ნაწერი კარგია,</u> პასუხობს დავალებას. აზრი ძირითადად კარგად არის გადმოცემული. ჩანს პირადი მოსაზრება. ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ძირითადად ლოგიკურია, თუმცა ზოგ შემთხვევაში მკითხველს ყურადღების დაძაბვა უხდება. (**6-5 ქულა**)	- დაშვებულია 4-7 გრამატიკული შეცდომა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ძირითადი აზრის გაგებას. ლექსიკა დავალებისა და მოთხოვნის შესატყვისია. მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებული შეცდომები ძირითადად ხელს არ უშლის აზრის გაგებას. (**6-5 ქულა**)	- ამბავი საინტერესოდ და, გარკვეულწილად, არაორდინალურად ვითარდება; ჩანს მოსწავლის ფანტაზია და მხატვრული თხრობის უნარი. გამოყენებულია მხატვრული ხერხები: იდიომა, მეტაფორა, ა.შ. **(3 ქულა)**
- <u>ნაწერი საშუალო დონისაა.</u> აზრი ძირითადად გასაგებია, თუმცა ზოგ შემთხვევაში აზრის მიყოლა ჭირს. წინადადებები ერთმანეთს ლოგიკურად ცუდად უკავშირდება. **(4-3 ქულა)**	- დაშვებულია 8-10 გრამატიკული შეცდომა. ლექსიკა საკმაოდ მარტივი და შეზღუდულია. მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებულ შეცდომებს სისტემური ხასიათი აქვს. (**4-3 ქულა**)	- ამბავი ჩვეულებრივია; არც თუ ისე საინტერესო; ამბის განვითარება - ორდინალურია, მხატვრული ხერხები თითქმის არ არის გამოყენებული. **(2 ქულა)**
- <u>ნაწერი (ძალიან) სუსტია.</u> ინფორმაცია ზოგადი და მწირია. აზრის გაგება, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია. **(2-1 ქულა)**	- დაშვებულია 10-ზე მეტი გრამატიკული შეცდომა. წინადადებები სტრუქტურულად გაუმართავია. ლექსიკა ძალზე მარტივი და შეუსაბამოა. მჟღავნდება მართლწერისა და პუნქტუაციის წესების სუსტი ცოდნა. **(2-1 ქულა)**	- ამბავი მოკლებულია ყოველგვარ კრეატიულობას; მოსაწყენი და ერთფეროვანია. **(1 ქულა)**
- ფურცელი ცარიელია ან დაწერილია მხოლოდ ერთი წინადადება. თუკი ნაშრომი არ პასუხობს დავალებას ის მთლიანად ფასდება 0 ქულით. (ქულა 0)	- დაწერილია რამდენიმე წინადადება, საიდანაც აზრის გამოტანა შეუძლებელია. შეცდომა დაშვებულია ყოველ წინადადებაში.	